პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

ვინ ვართ ჩვენ

შპს „ნბ დენტალი ნინო ბერიძის კლინიკა“ (შემდგომში - „კლინიკა“, „ჩვენ“, „ჩვენი“) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ სტომატოლოგიურ კლინიკას.

ჩვენი რეკვიზიტები:

- საიდენტიფიკაციო კოდი: 205291236
- მისამართი: დავით თავხელიძის ქუჩა 1, თბილისი, საქართველო
- ვებგვერდი: nbdental.ge
- ტელეფონის ნომერი: 322 32 22 27
- ელექტრონული ფოსტა: info@nbdental.ge

ჩვენი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი:

- შპს „ვაიზჰაბი“
- საიდენტიფიკაციო კოდი: 405679403
- ელექტრონული ფოსტა: info@mywisehub.ge

რა არის ამ დოკუმენტის მიზანი

ჩვენთვის, როგორც წამყვანი სტომატოლოგიური კლინიკისთვის, უმთავრესია ჩვენი პაციენტების პერსონალური მონაცემების განუხრელი, მაღალი სტანდარტით დაცვა და უსაფრთხოება. წინამდებარე დოკუმენტის მიზანია გაგაცნოთ, თუ რა საფუძვლით და რა მიზნით ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს. ასევე, რა ორგანიზაციულ და ტექნიკურ საშუალებებს ვიყენებთ მათი უსაფრთხოებისათვის. დოკუმენტი ასევე გაწვდით ინფორმაციას თქვენი უფლებებისა და მათი დაცვის მექანიზმების შესახებ.

ვისთვის არის გამიზნული ეს დოკუმენტი

ეს დოკუმენტი განკუთვნილია შემდეგი პირებისთვის:

- პაციენტებისთვის, რომლებიც სარგებლობენ კლინიკის სამედიცინო მომსახურებით.
- მომავალი პაციენტებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ჩვენი მომსახურებით და შესაძლოა გვაწვდიან პერსონალურ მონაცემებს (მაგალითად, კონსულტაციის დაგეგმვის მიზნით).

- პაციენტებისა და მომავალი პაციენტების კანონიერი წარმომადგენლებისთვის.
- პირებისთვის, რომლებიც ჩვენს კლინიკას უკავშირდებიან სატელეფონო ზარის, ელექტრონული ფოსტის ან სხვა საკომუნიკაციო საშუალებით ინფორმაციის მისაღებად, ჩაწერისთვის ან სხვა საკითხებზე კონსულტაციისთვის.

როგორ ვაგროვებთ თქვენს მონაცემებს

ჩვენ თქვენს პერსონალურ მონაცემებს ვიღებთ შემდეგი წყაროებიდან:

- პირდაპირ თქვენგან - როდესაც მიმართავთ კლინიკას მომსახურების მისაღებად. მათ შორის, სატელეფონო, ელექტრონული ან პირისპირ კომუნიკაციის გზით.
- თქვენი კანონიერი წარმომადგენლისაგან;
- მესამე პირებისგან - შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობისას ან თქვენი თანხმობით (მაგალითად, სადაზღვევო კომპანიებიდან ან ჯანდაცვის შესაბამისი ორგანოებიდან).

მომსახურების გაწევისას დამუშავებული პერსონალური მონაცემების კატეგორიები

მომსახურების გაწევის პროცესში ჩვენ მიერ დამუშავებული ინფორმაცია შესაძლოა მოიცავდეს ქვემოთ ჩამოთვლილი კატეგორიის მონაცემებს მათი დამუშავების მიზნის პროპორციული მოცულობით:

- **კანონმდებლობით კლინიკისთვის სავალდებულო დამუშავებას დაქვემდებარებული მონაცემები:**

ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული პაციენტის სამედიცინო ბარათი სადაც აისახება საიდენტიფიკაციო და სხვა, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები: სახელი, გვარი, სქესი, დაბადების თარიღი, ტელეფონის ნომერი, პირადი ნომერი, მისამართი, სამუშაო ადგილი და პროფესია, სადაზღვევო პოლისის ნომერი და სადაზღვევო კომპანია, ალერგია, გადატანილი ან/და თანმხლები დაავადებები.

ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული პაციენტის გასინჯვის ფურცელი, სადაც აისახება განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები: ჩივილები, ანამნეზი, ობიექტური გამოკვლევები, გამოკვლევის გეგმა, კონსულტაციის/გამოკვლევის შედეგი, საბოლოო დიაგნოზი, მკურნალობა, მომდევნო ვიზიტის თარიღი, მკურნალობის შედეგი (ეპიკრიზი), რჩევა-დარიგება/დანიშნულება.

პაციენტის წერილობითი ინფორმირებული თანხმობა სამედიცინო მომსახურების გაწევაზე.

- **დოკუმენტური მონაცემები:**

პირადობის მოწმობა, პასპორტი, დაბადების მოწმობა, ბინადრობის მოწმობა, დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობა, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, სადაზღვეო პოლისი.

- **ჩანაწერები:**

აუდიო ჩანაწერები (მხოლოდ კლინიკის ცხელ ხაზზე სატელეფონო კომუნიკაციისას) და ვიდეო ჩანაწერები (კლინიკის გარე და შიდა პერიმეტრზე).

- **კომუნიკაციისას მოპოვებული მონაცემები:**

ელექტრონული ფოსტის, სოციალური ქსელის გვერდისა და სატელეფონო ზარის მეშვეობით მოპოვებული მონაცემები.

მონაცემთა დამუშავების მიზნები

ჩვენ ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული და ლეგიტიმური მიზნებისთვის. ჩვენ არ ვამუშავებთ თქვენს მონაცემებს სხვა, მონაცემთა დამუშავების თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით. კლინიკის მიერ მონაცემების დამუშავება შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი მიზნებით:

სამედიცინო მომსახურების გაწევა:
- დიაგნოსტიკა და მკურნალობის დაგეგმვა;
- სამედიცინო პროცედურების ჩატარება;
- მკურნალობის შემდგომი მონიტორინგი და რეკომენდაციების მიწოდება;
- სამედიცინო ჩანაწერების წარმოება და შენახვა.

კანონმდებლობით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება:
- მარეგულირებელი და საზედამხედველო ორგანოებისთვის ინფორმაციის მიწოდება, კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით;
- სხვა სამართლებრივი ვალდებულებების შესრულება.

პირთა უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვა:
- პაციენტების, თანამშრომლების უსაფრთხოებისა და კლინიკის ქონების დაცვა.

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საფუძვლები

ჩვენ მიერ თქვენი მონაცემების დამუშავება ეფუძნება შემდეგ სამართლებრივ საფუძვლებს:

- თქვენთვის სამედიცინო მომსახურების გაწევა - რაც მოიცავს დიაგნოსტიკას, მკურნალობას და შემდგომ მოვლას;
- თქვენი თანხმობა - მონაცემთა კონკრეტული მიზნით დამუშავებასთან დაკავშირებით;
- თქვენი განცხადების განხილვის საჭიროება - როდესაც თქვენ მიმართავთ კლინიკას რაიმე საკითხზე განცხადებით;
- მონაცემთა საჯაროდ ხელმისაწვდომობა - თუ მონაცემები თქვენ მიერ გახდა საჯაროდ ხელმისაწვდომი;
- კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება - როდესაც მონაცემთა დამუშავება სავალდებულოა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

რა შემთხვევაში ვუზიარებთ თქვენს მონაცემებს მესამე პირებს

შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობისას, თქვენი მონაცემები შესაძლოა გავუზიაროთ შემდეგ პირებს:

- თქვენს კანონიერ წარმომადგენელს;
- კანონმდებლობით განსაზღვრულ ორგანოებს (მაგ. ჯანდაცვის სამინისტრო, სასამართლო, საგამოძიებო ორგანოები);
- სადაზღვევო კომპანიებს - სამედიცინო მომსახურების დაფინანსების მიზნით;
- სხვა სამედიცინო დაწესებულებებსა და სპეციალისტებს - თქვენი მკურნალობის მიზნით და თქვენი თანხმობით, თუ ეს საჭიროა;
- ჩვენს კონტრაქტორებსა და მომსახურების მომწოდებლებს, რომლებიც გვეხმარებიან საქმიანობის განხორციელებაში. თქვენი მონაცემების სათანადოდ დაცვის მიზნით, მესამე პირებისათვის თქვენი პერსონალური მონაცემების გადაცემამდე ჩვენ ვუზრუნველვყოფთ, რომ მათ მიერ მონაცემთა დამუშავება ხორციელდება ჩვენი ინსტრუქციებისა და მონაცემთა დაცვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ასევე, ჩვენ ვამოწმებთ, რომ მათ მიერ მიღებულია მონაცემთა დასაცავად შესაბამისი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები;
- სხვა მესამე პირებს - თქვენი თანხმობით.

თქვენი უფლებები თქვენს პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით

ჩვენ პატივს ვცემთ თქვენს უფლებებს პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით. კანონმდებლობის შესაბამისად. თქვენ გაქვთ უფლება მოითხოვოთ და მიიღოთ

ინფორმაცია იმის შესახებ, ვამუშავებთ თუ არა თქვენს მონაცემებს, რა მიზნით და რა საფუძველზე ვაკეთებთ ამას. ასევე, შეგიძლიათ მოითხოვოთ ინფორმაცია:

- თქვენს შესახებ დამუშავებული კონკრეტული მონაცემების შესახებ;
- მონაცემების მოპოვების წყაროს შესახებ;
- მონაცემების შენახვის ვადის შესახებ;
- მონაცემების გადაცემის შემთხვევაში, ვის და რა მიზნით გადაეცემა თქვენი მონაცემები.

ამ ინფორმაციას მოგაწვდით თქვენი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა. განსაკუთრებულ შემთხვევებში ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს კიდევ 10 დღით, რის შესახებაც წინასწარ გაცნობებთ.

თქვენ გაქვთ უფლება გაეცნოთ თქვენს შესახებ არსებულ პერსონალურ მონაცემებს და მიიღოთ მათი ასლები უფასოდ. გამონაკლისია შემთხვევები, როდესაც კანონით არის დაწესებული საფასური ან თუ თქვენ მოითხოვთ მონაცემების მიწოდებას განსხვავებული ფორმით, რაც დაკავშირებულია დამატებით ხარჯებთან. ამ შემთხვევაში შესაძლოა დაწესდეს გონივრული საფასური.

თუ თქვენი მონაცემები არასწორი, არაზუსტი ან არასრულია, თქვენ გაქვთ უფლება მოითხოვოთ მათი გასწორება, განახლება ან შევსება. ჩვენ ვალდებული ვართ, თქვენი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა გავასწოროთ მონაცემები ან გაცნობოთ უარის თქმის მიზეზი და გასაჩივრების წესი. თუ ჩვენ თავად აღმოვაჩენთ, რომ თქვენი მონაცემები არასწორია, ჩვენ თვითონვე შევასწორებთ მათ და შეგატყობინებთ ამის შესახებ.

თქვენ გაქვთ უფლება მოითხოვოთ თქვენი მონაცემების დამუშავების შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება, თუ:

- თქვენ გამოიხმობთ თანხმობას, რომელიც იყო მონაცემთა დამუშავების ერთადერთი საფუძველი.
- მონაცემების დამუშავება აღარ არის საჭირო იმ მიზნისთვის, რისთვისაც შეგროვდა.
- მონაცემები მუშავდება უკანონოდ. ჩვენ განვიხილავთ თქვენს მოთხოვნას და არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა შევწყვეტთ მონაცემთა დამუშავებას, წავშლით ან გავანადგურებთ მათ, ან გაცნობებთ უარის თქმის საფუძველს.

გარკვეულ შემთხვევებში თქვენ გაქვთ უფლება მოითხოვოთ თქვენი მონაცემების დაბლოკვა, მაგალითად, თუ თქვენ სადავოს ხდით მონაცემების სიზუსტეს, ან თუ მონაცემთა დამუშავება უკანონოა, მაგრამ არ გსურთ მათი წაშლა. დაბლოკვა გულისხმობს იმას, რომ მონაცემები დროებით არ იქნება დამუშავებული (გარდა მონაცემთა შენახვისა).

თუ თქვენ თქვენი თანხმობით ან ხელშეკრულების საფუძველზე მოგვაწოდეთ მონაცემები და მათი დამუშავება ხდება ავტომატურად, თქვენ გაქვთ უფლება მოითხოვოთ ამ მონაცემების მიღება სტრუქტურირებულ, მარტივად გამოყენებად ფორმატში და მოითხოვოთ მათი გადაცემა სხვა ორგანიზაციისთვის, თუ ეს ტექნიკურად შესაძლებელია.

თუ მონაცემთა დამუშავება ეფუძნება თქვენს თანხმობას, თქვენ გაქვთ უფლება ნებისმიერ დროს გამოიხმოთ ეს თანხმობა. თანხმობის გაუქმების შემდეგ ჩვენ შევწყვეტთ მონაცემთა დამუშავებას, თუ არ არსებობს სხვა კანონიერი საფუძველი მის გასაგრძელებლად.

თუ ფიქრობთ, რომ თქვენი უფლებები დაირღვა, თქვენ გაქვთ უფლება მიმართოთ საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, სასამართლოს ან სხვა შესაბამის ორგანოებს.

თქვენი უფლებების რეალიზება

თქვენი უფლებების განსახორციელებლად შეგიძლიათ მოგვმართოთ წერილობით, ელექტრონული ფოსტით ან პირადად ჩვენს კლინიკაში. ჩვენი საკონტაქტო ინფორმაცია იხილეთ პოლიტიკის დოკუმენტის დასაწყისში. თქვენს მოთხოვნას განვიხილავთ კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და მოგაწვდით შესაბამის პასუხს.

მონაცემთა სუბიექტის უფლებების შეზღუდვა

გვინდა გაცნობოთ, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებულ კონკრეტულ შემთხვევებში, თქვენი ზემოთ ჩამოთვლილი უფლებები შეიძლება შეიზღუდოს, თუ ეს აუცილებელია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების, დანაშაულის პრევენციის, მართლმსაჯულების ინტერესების ან სხვა მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნების დასაცავად. ასეთ შემთხვევებში ჩვენ ვალდებული ვართ გაცნობოთ შეზღუდვის შესახებ, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონს.

მონაცემთა უსაფრთხოების დაცვა

ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია თქვენი პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება. ამ მიზნით, ჩვენ უზრუნველვყოფთ ფიზიკურ, ტექნიკურ და ორგანიზაციულ გარანტიებს თქვენი მონაცემების დასაცავად არაავტორიზებული წვდომისგან, გამოყენებისგან, გამჟღავნებისგან, დაკარგვის ან განადგურებისგან.

ჩვენ ვიყენებთ მრავალმხრივ უსაფრთხოების ზომებს, მათ შორის:

- ფიზიკური უსაფრთხოება - ჩვენი ელექტრონული მოწყობილობები, ფაილები და ფიზიკური სივრცე დაცულია არაავტორიზებული შეღწევისგან;
- ტექნიკური უსაფრთხოება - დანერგილია თანამედროვე ტექნოლოგიური გადაწყვეტილებები მონაცემთა დაცვისა და კიბერუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მათ შორის, დაშიფვრა, ფაიერვოლები და წვდომის კონტროლის მექანიზმები;
- ორგანიზაციული უსაფრთხოება - შემუშავებული და დანერგილია შიდა პოლიტიკები და პროცედურები მონაცემთა დაცვისა და კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად. ჩვენი თანამშრომლები გადიან რეგულარულ ტრენინგებს მონაცემთა უსაფრთხოების საკითხებზე და ვალდებულნი არიან დაიცვან მონაცემთა კონფიდენციალურობის პოლიტიკა და პროცედურები.

ჩვენ მუდმივად ვახორციელებთ ჩვენი უსაფრთხოების ზომების მონიტორინგსა და განახლებას, რათა უზრუნველვყოთ თქვენი მონაცემების მაქსიმალური დაცვა.

მონაცემთა შენახვის ვადა

ჩვენ თქვენს პერსონალურ მონაცემებს ვინახავთ მხოლოდ იმ ვადით, რაც აუცილებელია კონკრეტული დამუშავების მიზნის მისაღწევად, ან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული შენახვის ვადების შესაბამისად.

მონაცემთა შენახვის კონკრეტული ვადები განისაზღვრება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

- დამუშავების კონკრეტული მიზანი - მონაცემები ინახება იმდენ ხანს, რამდენიც საჭიროა იმ კონკრეტული მიზნის მისაღწევად, რისთვისაც ისინი შეგროვდა;
- მომსახურების გაწევის ფარგლები და/ან ხელშეკრულება - თუ ჩვენსა და თქვენს შორის არსებობს მომსახურების გაწევის შესახებ შეთანხმება ან ხელშეკრულება, მონაცემთა შენახვის ვადა შესაძლოა განისაზღვროს ამ დოკუმენტებით;
- კლინიკის ლეგიტიმური ინტერესები - შესაძლოა დაგვჭირდეს მონაცემების შენახვა უფრო ხანგრძლივი ვადით ჩვენი ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად (მაგალითად, სამართლებრივი დავების შემთხვევაში). ასეთ დროს ჩვენ ვუზრუნველვყოფთ, რომ მონაცემების შენახვის ვადა იყოს გონივრული და არ ლახავდეს თქვენს უფლებებს;
- თანხმობა - თუ მონაცემთა დამუშავება ეფუძნება თქვენს თანხმობას, მონაცემები შეინახება თქვენი თანხმობის მოქმედების ვადით, თუ თქვენ არ გაიხმობთ მას უფრო ადრე.

მას შემდეგ, რაც მონაცემთა შენახვის ვადა ამოიწურება ან მონაცემთა დამუშავების მიზანი მიღწეული იქნება და აღარ არსებობს მათი შენახვის კანონიერი საფუძველი, თქვენი მონაცემები უსაფრთხოდ წაიშლება ან განადგურდება.

აღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტი განახლებადია. დოკუმენტში ცვლილება ხორციელდება კლინიკის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერთან შეთანხმებით და კლინიკა იღებს პასუხისმგებლობას განახლების შემთხვევაში განახორციელოს თქვენი ინფორმირება.

2026 წელი